საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კარჟავინი ვსევოლოდ ალექსანდრეს ძე



ვ. კარჟავინი

კარჟავინი ვსევოლოდ ალექსანდრეს ძე (4.VI. 1904, მოსკოვი, – 19.VIII. 1992, დაბა აგუძერა, სოხუმი), ქიმიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი (1949), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1974). 1925 დაამთავრა მოსკოვის დ. მენდელეევის სახ. ქიმ. ტექნოლოგიის ინ-ტი. მუშაობა დაიწყო გამოყენებითი მინერალოგიის ინ-ტში. პარალელურად მოღვაწეობდა მოსკოვის ქიმიური ტექნოლოგიის ინ-ტში. 1931–36 სამეცნ.-კვლ. ინ-ტში "აზოტი" იყო განყ-ბის გამგე. 1936 გადაასახლეს (ბრალდებით კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის). 1942–43 მუშაობდა ქ. მაგადანში, ქიმიური კვლევების ლაბორატორიაში, 1943–46 – ქ. ნორილსკის მეტალურგიულ კომბინატში; სპეც. ობიექტზე ქ. ობნინსკში. 1947-იდან სოხუმის ფიზ.- ტექნიკის ინ-ტში ხელმძღვანელობდა სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიას.

კ-ის სამეცნ. კვლევები ეხება თხევადი საწვავის სინთეზის საკითხებს; ნახშირბადის ჟანგეულებისა და წყალბადისაგან ნახშირწყალბადოვანი ნაერთების კატალიზურ სინთეზს. სტალინური პრემია მიენიჭა ურანის იზოტოპების განცალკევების ექსპლუატაციაში გაშვების სამუშაოებში მონაწილეობისათვის (1951) და დიფუზური ფილტრების ოქსიდირების ტექნოლოგიის დანერგვისათვის (1953). 1958 მიენიჭა ლენინური პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1971).